

ხელშეკრულება № 04/162-363

„13“ ნოემბერი 2014 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით
მისამართი : ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №21

საბანკო რეკვიზიტები:

მომღები : ერთიანი ანგარიში

მომღების ბანკი : სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი : 220101222

ანგარიშის ნომერი : 200122900

საიდენტიფიკაციო კოდი : 202294980

მეორე მხრივ, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლა

მისამართი : ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუხი

სკოლის დირექტორი : გოგი თოდუა

საიდენტიფიკაციო კოდი : 220373584

საბანკო რეკვიზიტები : სს „ლიბერთი ბანკი“-ს სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი

ბანკის კოდი : LBRTGE22

ანგარიშის ნომერი : GE39LB0121122719449000

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ში, შემოსული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 06 ნოემბრის №880668 (რეგისტრაციის №885215) წერილის, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დირექტორის 2014 წლის 10 ნოემბრის №121 ბრძანების, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 2¹ პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება“ - სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სა და სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

„დაფინანსების ოდენობა“ - საერთო თანხა, რომელსაც სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ გამოუყოფს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

8 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 8.1 „თანხის გამცემს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება „თანხის მიმღების“ ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
- (ა) თუ „თანხის მიმღებს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების და შესყიდვების განხორციელება;
 - (ბ) თუ „თანხის მიმღებს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
- 8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „თანხის მიმღებს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

- 9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად თუ აღნიშნული წარმოადგენს ფორს-მაჟორული გარემოების შედეგს;
- 9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;
- 9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. სხვა პირობები

- 10.1 „თანხის გამცემმა“ და „თანხის მიმღებმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ერთმანეთში შეათანხმონ მათ შორის ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა;
- 10.2 ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა თანხის მიმღებს, ხოლო სამი ეგზემპლარი თანხის გამცემს.
- 10.3 ამ ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

„თანხის გამცემი“

„თანხის მიმღები“

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს დირექტორი გრიგოლ გაგოშიძე

სსიპ ზუგდიდი მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლის დირექტორი გოგი თოდუა

